საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

რექტორის ბრძანება

N 39/01-01
19/02/2020

39-01-01-4-202002191540

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეკონომიკური მეცნიერების დარგში პაატა გუგუშვილის სახელობის სამეცნიერო პრემიის მინიჭების მიზნით კონკურსის ჩასატარებლად კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის, 56-ე მუხლის მე-2 და მე3 ნაწილების, 57-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის პირველი პუნქტის, მე-8 პუნქტის „ა“, „ბ“, „ო“ და „პ“ ქვეპუნქტების, მე- 9 პუნქტის, „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეკონომიკური მეცნიერების დარგში პაატა გუგუშვილის სახელობის სამეცნიერო პრემიის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 03 დეკემბრის N232/2018 დადგენილების, „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეკონომიკური მეცნიერების დარგში პაატა გუგუშვილის სახელობის სამეცნიერო პრემიის მინიჭების მიზნით კონკურსის გამოცხადების შესახებ“ უნივერსიტეტის რექტორის 2019 წლის 30 დეკემბრის N336/01-01 ბრძანებისა და სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორის 2020 წლის 17 თებერვლის N2864/10 კორესპონდენციის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეკონომიკური მეცნიერების დარგში პაატა გუგუშვილის სახელობის სამეცნიერო პრემიის მინიჭების მიზნით კონკურსის ჩასატარებლად დამტკიცდეს კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) კურატაშვილი ალფრედ – პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, განყოფილების ხელმძღვანელი;
ბ) ბერულავა გიორგი – პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, განყოფილების ხელმძღვანელი;

ილია ჭავჭავაძის გამზ. 1, 0179 თბილისი, საქართველო
1, Ilia Tchavtchavadze Ave., 0179 Tbilisi, Georgia
http://www.tsu.edu.ge
ტელ/ფაქსი: +(995 32) 229 42 88 Tel/Fax
ელ-ფოსტა: chancellery@tsu.ge; E-mail

გ) კვარაცხელია მურმან – პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი;
დ) ჯავახიშვილი რევაზ – პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, განყოფილების ხელმძღვანელი;
ე) ხუსკივაძე მამუკა – პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, განყოფილების ხელმძღვანელი;

2. კონკურსში წარმოდგენილ ნაშრომებს აფასებს საკონკურსო კომისია. იგი გამოყოფს რეცენზენტებს. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სადისკუსიო დარბაზის სხდომაზე საჯაროდ ისმენს კონკურსანტთა მოხსენებებსა და რეცენზიებს და აფასებს მათ. შეფასების კრიტერიუმებს ადგენს საკონკურსო კომისია, რომელიც ქვეყნდება საჯაროდ საკონკურსო კომისიის შექმნიდან 1 კვირის ფარგლებში.

3. საკონკურსო კომისია განსაზღვრავს თავისი მუშაობის წესს, პირველ სხდომაზე ირჩევს თავმჯდომარეს და მდივანს. კომისია უფლებამოსილია, თუ მის სხდომას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი.

4. კომისია გადაწყვეტილებებს იღებს სხდომაზე ღია კენჭისყრით, დამსწრე წევრების ხმათა უმრავლესობით, რაც ფორმდება ოქმით.

5. საკონკურსო კომისიამ კონკურსის ჩატარებისას იმოქმედოს მოქმედი კანონმდებლობისა და აკადემიური საბჭოს 2018 წლის 03 დეკემბრის N232/2018 დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებული სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეკონომიკური მეცნიერების დარგში პაატა გუგუშვილის სახელობის სამეცნიერო პრემიის მინიჭების წესის შესაბამისად.

6. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორს დაევალოს საკონკურსო კომისიის შემაჯამებელი ოქმი წარმოადგინოს მიმდინარე წლის პირველ ივნისამდე.

7. წინამდებარე ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება დაევალოს საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტს.

8. ბრძანება ძალაშია კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გიორგი შარვაშიძე

რექტორი